№ 266

პარასკევი, 8 დეკემბერი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 266

პარასკევი, 8 დეკემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

**მოწვეულია ახალი მკერვალი ქალი, ვენის სამკერვალო აკადემიის დიპლომით.**

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ.

ქართული კაბებისათვის ცალკე მოწვეული მცოდნე მკერვალი ქალი.

**წმ. ნინოს დედათა საქველმოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა**

ამითი აცხადებს, რომ თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში განთავისუფლდა **საიმპერატორო სტიპენდია**. სტიპენდია კენჭის ყრით დაინიშნება. კენჭის ყრა მომავალ 1901 წლის 14 იანვარს მოხდება. ვისაც სურს კენჭი უყარონ, იმან თხოვნა და საჭირო საბუთის ქაღალდები გამგეობის სახელზედ უნდა გამოგზავნოს. თხოვნების მიღება 1901 წლის 10 იანვარს შესწყდება. (3—უ.—2)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана**.

Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. გელოვოლოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ახალი ამბავი

*** ოთხშაბათს, 6 დეკემბერს, მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძის სახელწოდების დღეს ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში გორის ეპისკოპოსის კირიონის მიერ სამღვდელოების თანამწირველობით გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი. წირვასა და პარაკლისს დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, გენერალი თავ. ამირაჯიბი, თავად აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, გუბერნატორი, ქალაქის მოურავი და სხვანი. დღისით ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული, ხოლო საღამოთი გაჩირაღდნებული.

*** წლეულს ტფილისის სადგურის მახლობლად რამდენიმე სამრევლო-საეკკლესიო სკოლა დააარსეს. ამ სკოლებთან ეკკლესიაც ააგეს. კავკავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა 500 მანეთი შესწირა ეკკლესიის საჭიროებისათვის.

*** დღეს, 8 დეკემბერს, სამეურნეო-საზოგადოების სადგომში მოხდება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც განხილულ იქმნება ზოგიერთი საქმეები კავკასიის მომავალ სასოფლო სამრეწველო გამოფენის შესახებ. ამავე კრებაზედ აგრონომი სააკოვი წაიკითხავს მოხსენებას ახალ-ქალაქის მაზ-

## ფელეტონი

### ქურმუხის წმ. გიორგობა საინგილოში.

ზაქათალიდგან ან ნუხიდგან რომ გადმოდგებით სოფ. კახისაკენ, შენიშნავთ ერთს მაღლობ ალაგზედ თეთრს წერტილს; ეს წერტილი ძალა-უნებურად მიიქცევს თქვენს ყურადღებასა და იფიქრებთ: დიდი შენობა უნდა იყოს, ან ეკკლესია და ან კოშკი, რომ ასე სიშორიდგან მოსჩანსო. ეს გახლავთ თეთრად გალესილი პატარა ეკკლესია, რომელიც აღმართა მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ 1894 წ. დიდებულ ქურმუხის მონასტრის ნანგრევებზედ. ეს ადგილი არის უძველესი ნაშთი ჩვენის წარსულისა, ის შესანიშნავი ალაგი, რომელსაც ამკობდა ოდესმე აქ ამართული დიდებული ქურმუხის მონასტერი. მტრის ულმობელმა ხელმა არ მოაღწევინა ჩვენამდე ამ შესანიშნავ სიძველეს და მხოლოდ ხალხის პატივისცემა ამ ალაგისა, საქართველოს ისტორიაში აღმოკითხული მცირე შენიშვნანი და ჰმოწმობენ მისს დიდ მნიშვნელობას. ეს ალაგი იყო შეურყეველი ბურჯი ქრისტიანობისა საინგილოში. ქურმუხის მონასტერი რომ არ ყოფილიყო, მთლად შეილახებოდა ქრისტიანობა საინგილოში და მისი აჩრდილიც კი აღარსად მოიპოვებოდა. იგი მართლად იწოდება ხალხში „დიდ საყდრადა“, რადგან აქედგან ვრცელდებოდა მთელს საინგილოში საეკკლესიო წიგნები, საღმრთო სჯულის სწავლება და ყოველივე მეცნიერება ინგილოთა შორის. გიორგი ბრწყინვალეს დროის სახარებაზედ წარწერა გადმოგვცემს, რომ აქა ყოფილა მონასტერი და კათედრა მთავარ-ეპისკოპოსისა, რომელიც ჰმართავდა და ჰხელმძღვანელობდა მთელ საინგილოს ეკკლესიებსა და სკოლებს. ერთ წარწერაში მოხსენებულია:

ქ: ოდეს: სანატრელმან: მან: პატრიარქმან: ჩუენმან: ექვთიმე: მოიხილა: კახეთს: ანწუხისა (?) საეფისკოპოზო: და: მიერითგან: გარდამოვიდა: წახურს: კაკ-ელისენს: და: მოვლო: საყდარნი: კასრი სამებისა: ყუმი ღვთის-მშობლისა: ლექართ წმ. მოციქულთ-სწორისა: ნინოჲსი: ზარს წმ. მთავარ-მოწამისა გიორგისი: ვარდიანს წმ. აბოჲსი: განუხს არჩილისი: ქიშ-ნუხს ღვთისმშობლისა. ვარდთაშენს ელიაჲსი: თა... სარანს ყ...წ... მოციქულის პეტრეჲსი: კუალად: საყდარნი: ხუნმთა (?): ნახჩთა: თოშეთისა: ნეკრესისა: ლაგოეთისა: ბელქანისა: მაჭ-ქიეინეთისა: ფერიჯან-მუხახ-მამრეხისა: და: ყოვლისა: ვაკისა: ესე იგი არს: ძუელი: მოვაკნისა: და: ელისენისა: ვერხვიანით-ზეგანით: გამო. ვიდრე: ივრის (?) მდინარის ჩასართავამდე: ალაზანსა: და: ამან: სანატრელმან (?): ექთიმე: მიბრძანა: ქურმუხისა: მთავარ-ეფისკოპოსსა: და: ყოვლისა: მთეულისა: წინამძღუარსა: კვირილე: დონაურსა: გადაწერინებად: სახარებისა: და: წარგზავნად: თუითეულისა: თჳს: ეკკლესიისა: მეცა: გარდავაწერინენ: კაკისა: წმ. ბარბარეს: ტაძრისა: მღდელსა: იასე: ქიტიაშვილსა: და: ათორმეტთა: მისთა: მოწაფეთა: და: წარვგზავნენ: საყდართა: მონასტერთა: და: შვდთა: სასწავლელთა: თავს მდგომთადმი: და: ვუბრძანენ: სწავლებად: სჯული: ჭეშმარიტი: და: ფილასოფოსებაჲ: მამათა: ცხოვრებაჲ: ქართლისა: ცხოვრებაჲ: და: ც... ბაჲ (?) ალვანიისაჲ: ესე იგი არს: სავანისაჲ: რომელნი: დაწერნა: პეტრე: ლაგაძემან: და: ვინმე: სომეხმან: გა... იგი (?): და: საკუთრად: დაწერილად: გამოაცხადნა: და: სომეხთაც: ადვილად (?): იწამეს (?) ჩვეულებისამებრ: ოფალო: იჳსო: ქრისტე: მეოხ: მექმენ: დღესა: განკითხვისასა: მთავარ-ეფისკოპოსსა: კვრილეს: ამინ: ამინ: ქ~სა: ფლ (?) თუესა: მაის~ა: იდ: დასაბამითგანთა: ხშიდ: წელთა (=1310 წ.).

მეორე წარწერა.

ოდეს: ბრწყინვალემან: მეფემან: გიორგი: გაიმარჯუა: აგარიანთა: ზედა: განძას (?) და: შირანს: მას: ჟამსა: შინა: ჩუენნი: სამწყსონი: შაქ-ქურმუხისანი: ჩინებულად: იბრძოდეს: ძლევად: მტერთა: და: ამისთჳს: უძლეველმან: გიორგი: გვიწყალობნა: სიგელ (?) და: დაგვიმტკიცნა: ჩუენ: ქი~ელ. ქურმუხელს: ზვარი (?):. ყვ...ლსა განუხს: მამულნი: ყაბალასა ძუარი: ვარდთა: შენს: სავაჭრონი: და: ვაჭარნი: შუიდნი: და: შირაქისა: საბალახენი: და: ქართველთა: მთასა: ზედა: საბალახენი: და: მტკვარსა: თევზისა: საბაჟენი (?): მეფესა: გიორგი: ბრწყინვალესა: რომლისა: მეოხებითა: უმეტესად: განძლიერდა: ქრისტიანობაჲ: მთეულთა: შორის: და: კუალად: განმტკიცდა: ერთობაჲ: საქართველოსა: შინა: ამინ: ამინ: აღიწერა: ესე: ქ~სა: კა: თუესა: მარტსა ე: (=1333 წ.).

ქ: ოფალო: შეიწყალენ: გიშელ (?) ქურმუხელნი: ზაქარია: პეტრე: იოანე: არჩილ: ლუკა: ევაგრე: შიო: გობრონ (?) გიორგი: იოსებ: ზოსიმე: თადეოზ: მინა: მიქელ: ნიკოლოზ: ტარასი: ბართლომე: თადეოზ: თეოფილე (?): კვრიონ: კვრილე დონაური: ლევან: (იხ. საქარ. ისტორია მ. ჯანაშვილისა 205—206 გვ.).

გულის ძგერითა და სულის სისწრაფით მოველოდი ქურმუხობას, რომელი შემთხვევაც ხელს მიწყობდა მენახა ეს უძველესი ნაშთიც და თვითონ დღეობაცა. ვფიქრობდი, ღმერთო ჩემო, დავიჯერო ქურმუხობასაც ის ხასიათი ექნება, როგორც საქართველოს სხვა დღეობებსა? დავიჯერო ინგილოებმა, ამ მრავალ ტანჯულმა ხალხმა, კიდევ შეინარჩუნეს ის სიმხიარულე და ქეიფი, როგორც მენახა მე სხვა დღეობებში? გათენდა მშვენიერი დილა წმ. გიორგობისა. საინგილოს ყველა სოფლებიდგან დაიძრა დიდძალი მლოცავი ზოგი ურმით, ზოგი ცხენით და ზოგიც ფეხით. მორთულ-მოკაზმულნი ახალგაზდანი მხიარულად მიისწრაფებოდნენ დღეობაში და მათ წინ მიუძღოდათ ზურნადაფი. მლოცველების ურმები და ტვირთული იყო სხვა და სხვა სანოვაგითა და ზვარაკებითა. ზოგიერთ მლოცავებს წინ მიურბოდათ გასუქებული თოხლები. პატარა გოგოები ურმებში ჩაწკეპილიყვნენ და „გარმონებს“ აჭყვიტინებდნენ. პატარა ბიჭები კიდევ ურმის კოფოებზედ მოჰქცეოდნენ და მარჯვედ მიერეკებოდნენ საქონელს. მოხუცი დედაკაცები ურმებში ჩაჰქდილიყვნენ და სასტიკად უკრძალავდნენ ურემში მჯდომ ყმაწვილებს ცელქობას.

— ნუ დაუშლი, დედი, დღეობა მაგათია, იმხიარულონ, ყმაწვილები არიან! უთხრა ურმის გვერდით მიმავალმა ყმაწვილების მამამ თავის მოხუცებულს დედას.

— იმხიარულონ, შვილო, მაგრამ გვერდები კი ჩამომაცალეს ამ საძაგლებმა-და!

— შენ შენი დრო მოგიჭამია და მაგათ-კი არა ჰკითხავ! წაიდუდუნა ყმაწვილების დედამ, რომელიც კვერდით უჯდა თავისს მოხუცებულს დედამთილს. იქნება ბებერმა კიდეც გაიგონა თავისის რძლის სიტყვები, მაგრამ ყური მოიყრუა. ეს ყურის მოყრუება ქურმუხობის ბრალი იყო, თორემ სახლში რომ ყოფილიყვნენ, არც შვილს და არც რძალს ამ პასუხებს არ დაუთმენდა მოხუცებული დედა და ერთი ლაზათიანად გამოშუშვრავდა. ურმის უკან, ყავარჯენზედ დაბჯენილი ბებერი პაპაც ხვეწებით მილახლახებდა. მის უკან ხტუნვაცეკვით მორბოდნენ ორი ყმაწვილი ბიჭი, რომლებსაც ურმებში მჯდომ ახალგაზრდა ქალებზედ სწყდებოდათ თვალები; ესენი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და ვილაცედაც უთითებდნენ. ახალგაზდებმა ვერც კი შენიშნეს მიმავალი ბერი-კაცი და ზედ წააწყდნენ.

— „ბიჭო, ფეხ ქვეშ არ გამქელოთ, რატომ წინ არ იხედებით, იქნება ფულები დაბნევია ვისმე?“.

— ოხ., გამარჯობა, ზაქარ-ბიძავ, შენ სადღა მიეშურები?

— დღეობისაკენ, შვილო, ჰაი, ..ედას. მე რომ თქვენოდენა ვიყავი, მ..ჯდებოდი ჩემს ლურჯაზედ და ჰერი გიდი, როგორ მივაჭენებდი დღეობაში. ბევრი ქალისათვის დამიბრეცია თვალები. ეხლა რა ვაჟკაცები ამხდარხართ, წინ არც კი იცქირებით და ფეხით მიხეტიალებთ დღეობაში. თუ ცხენები არა გყავთ, შვილო, ვაჟკაცურად მოიქეცით, წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაში ყანების გამანადგურებელ მწერ „ბალლინჯოსთან“ საბრძოლველად ზომების მიღების შესახებ.

⁂ როგორც სად. ავჭალიდგან გვატყობინებენ, გუშინ, 7 დეკემბერს, იქ ორი საქონლის მატარებელი დასჯახებია ერთმანეთს და 15 ვაგონი დამსხვრეულა. საბედნიეროდ კაცი არავინ დაშავებულა. მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულა. ტფილისიდგან სამუშაო მატარებელია გაგზავნილი ავჭალაში გზის გასაწმენდად.

⁂ ოთხშაბათს, 6 ნოემბერს, ავჭალის ქუჩაზედ, სახალხო თეატრში, წარმოადგინეს მეორედ ამ სეზონში დრამა „ორი ობოლი“. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტებმა ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ, ნებიერიძისამ, მდივანმა და ბ. სვიმონიძემ, რომელთა წყალობითაც წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. სცენის მოყვარეთაგან ამ საღამოს ხალხს მოეწონა ბ-ნი გოცირიძე, რომელიც პიერის როლს ასრულებდა. წარმოდგენას იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ ბევრი უადგილობისა გამო უკანვე დაბრუნდა.

⁂ როგორც „ცნობის ფურც.“ თელავიდგან ატყობინებენ, ჩვენი მხცოვანი პოეტი თავ. რაფიელ ერისთავი ავად გამხდარა.

⁂ ტფილისის ქალაქის მოურავს ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლისათვის წარუდგენია ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველის ჯაბადარის მოხსენება, რომელშიაც ბ-ნი ჯაბადარი სწერს, რომ კანონის ძალით საზოგადო პოლიციას უფლება აქვს მხოლოდ თვალ-ყური ადევნოს იმას, რომ ვაჭრებმა ნიხრზედ ჰყიდონ სანოვაგე. ხოლო პოლიციის მიერ ამ უკანასკნელ დროს მიღებული სასტიკი ზომები ვაჭართა წინააღმდეგ არა სასურველ შედეგს გამოიწვევსო. ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა აცნობა ტფილისის ქალაქის მოურავს, რომ ნიხრის თვალყურის დევნების გარდა პოლიცია მოვალეა ეცადოს სანოვაგე არ გაძვირდეს, საკმაო სანოვაგე მოიპოვებოდეს ბაზარში და სხვა. ამის გამო და აგრეთვე იმის წყალობით, რომ ქალაქი, თვით მმართველობამ ვერაფერი იღონა ბაზარში ღორის ხორცის გაძვირების წინააღმდეგ, ჩემის განკარგულებით პოლიციამ მიიღო ზომები და დაადგინა თვალ ყური ედევნა, რომ ღორის ხორცი 1899 წლის 15 ნოემბერს დამტკიცებულ ნიხრით ეყიდათ, სანამ ახალ ნიხრს არ შეადგენდნენო. ამასთან გუბერნატორს ქალაქის მოურავისთვის წინადადება მიუცია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს პურსა და ხორცზედ ნიხრის დაწესებასა და სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის მოქმედებას.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის დათვალიერების დროს გზათა სამინისტროს მთავარ ინსპექტორს ბევრს სადგურზედ შეუნიშნავს, რომ სამზარეულო, მორიგეთა ოთახები და სხვა სადგომები უსუფთაოდ ინახება. ამისათვის კავკასიის რკინის გზის გამგეობას განკარგულება მოუხდენია, ყურადღება მიაქციონ სადგურების სუფთად შენახვას.

⁂ ამ დღეებში გომბორზედ დიდი თოვლი მოსულა. ეტლების მიმოსვლა ამ გზაზედ დროებით შეჩერებული იყო. მუშებს გზა უკვე გაუწმენდიათ.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარი კანტროლი შეჰკითხებია კავკასიის უმაღლეს მთავრობას, რკინის გზაზედ არა მართლმადიდებელ სარწმუნოების მოსამსახურენი მუშაობისაგან განთავისუფლებულ იქმნან მათის რჯულით დაწესებულ უქმე დღეებში, თუ კანონის მიერ დაწესებულ დღესასწაულებშიო.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის განკარგულებით ქალაქის პოლიციის მიერ სასტიკი ზომები იქმნება მიღებული, რომ ტფილისში ვაჭრებმა კარგის თვისების სანოვაგე ჰყიდონ და ღორის ხორცს ნიხრზედ მეტი ფასი არ დაადვან.

⁂ 5 დეკემბერს, ჩაჩიანის ბაღიდგან (ვორონცოვის ქუჩაზეა) პასტერის ცოფის ასაცრელ სადგურში წაუყვანიათ ცოფიან ძაღლის მიერ დაკბენილი ქუთაისის მაზრის მცხოვრები ბესარიონ ოჩხინიძე, მაგრამ პასტერის სადგურზედ თავისუფალი ადგილი არა ყოფილა და ოჩხინიძე მიხეილის საავადმყოფოში გაუგზავნიათ. ავადმყოფი გზაზედ გარდაცვლილა.

⁂ ბორჯომში რკინის გზაზედ მიწის ზვავი გადმოვარდნილა და მატარებელი შეუჩერებია.

⁂ ქ. სოხუმი. ამ დღეებში მიწას მიაბარეს გვამი საბჭოს ხმოსნის მარკ. კირილეს ძის მიმინოშვილისა. განსვენებული 1865 წლიდგან სიკვდილამდე განუწყვეტლივ ქალაქს ემსახურებოდა სხვა-და სხვა თანამდებობაში: 1865 წლიდგან 1880-მდე ვაჭართა მამასახლისად და ნაფიც დამფასებლად იყო, 1880—1898 წლამდე ქალაქის დეპუტატად იყო და თვით-მმართველობის შემოღების შემდეგ ხმოსნათ იქმნა არჩეული.

განსვენებული ცნობილი იყო როგორც პატიოსანი მუშაკი და ქალაქის საქმეების კარგად მცოდნე. სოხუმის ოლქში მეგრელების დასახლების საქმეშიაც დიდი დვაწლი მიუძღოდა. განსვენებულის გვამი სასაფლაომდე ხმოსნებმა და მრავალმა საზოგადოებამ გააცილა. სამგლოვიარო ეტლი, რომელზედაც განსვენებულის კუბო ესვენა, შემკული იყო გვირგვინებით, რომელთაგანაც ჩვენ შევნიშნეთ გვირგვინები ქალაქის გამგეობისაგან, ქალაქ სოხუმისაგან, თავ. ანჩაბაძისაგან, დისწულებისაგან, თურქიასაგან, და სამს. ბოკერიასაგან.

⁂ როგორც „ცნ. ფურ.“-ს ატყობინებენ, 1 დეკემბერს, აბასთუმან-ქუთაისის გზა-ტკეცილზე შემდეგი ბოროტ-მოქმედება მომხდარა: სამ ჩალვადარ თათარს ქუთაისიდგან მე-16 ვერსზე თავს დასხმია ოთხი შეიარაღებული ავაზაკი. წაურთმევიათ ავაზაკებს თათრებისათვის 120 მანეთი ფულად, ერთი ხანჯალი, ერთი ვერცხლის საათი და სამი ნაბადი.

## ტომსკის უნივერსიტეტი და აქ მოსწავლე ქართველობა

(დასასრული *)

თუ ისეთს სამწუხარო სურათს წარმოადგენს საზოგადოდ ტომსკის სტუდენტთა ცხოვრება, მაშინ როგორი-ღა უნდა იყოს ტომსკისავე შეუძლებელ ქართველ სტუდენტობის ცხოვრება *), რომელსაც აქ არც ნაცნობი ჰყავს, არც ნათესავი, არც მეგობარი და არც სხვა ვინმე გულ-შემატკივარი, რომ რაიმე საქმე უშოვნოს გატირვებაში (საქმის შოვნაში კი, საზოგადოდ, როგორც ყველგან, ნაცნობობასა და მეგობრობას აქ დიდი მნიშვნელობა აქვს), ან რითიმე ხელი გაუმართოს? ვერავისთვის მიუმართავს, ითმენს თავისს უკიდურესს მდგომარეობას, ებრძვის რაც ძალი და ღონე აქვს და, როდესაც ძალ-ღონე გამოელევა, გაჭირვების მსხვერპლადა ხდება: —ცალკე შიმშილი აწუხებს, ცალკე მკაცრი ციმბირის ყინვა, ხოლო ყველაზე მომეტებულად-კი — ერთბაშად შესატანი ლექციების მოსასმენი ფასი 44—48 მან. ნახევარ წლობით, რომლის შეუტანლობას მისი უნივერსიტეტიდგან გამოსალმება მოსდევს. ვის მიჰმართოს ქართველმა სტუდენტმა აქ, ციმბირში, სადაც ყოველს კავკასიელს, რომელი ტომისაც უნდა იყოს იგი, „ჩერქეზს“ ეძახიან და ეჭვის თვალით უყურებენ; მაგრამ თუნდაც მიჰმართოს ვისმე, ვინ გაიგონებს მათს ხვეწნა-მუდარას, ვინ იხსნის გაჭირვებისაგან, როდესაც საზრუნველი თავიანთიც ბევრი ჰყავთ და „შინ რომ ბალღებს შიოდეთ, გარედ ტაბლას რა ხელი აქვსო“?

აქაური ქართველი სტუდენტი რომ უკიდურესს გაჭირვებაშია, ამას, გარდა ნათქვამისა, ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ თვითოეულს მათგანს სახლიდგან თვეში 10—არა უმეტეს 20 მან. მოსდის (ერთს მათგანს-კი არავისგან არა მოსდის-რა). ზემოხსენებული ფულით სტუდენტმა უნდა სახლიც იქირაოს, სვას, სჭამოს, ჩაიცვას, დაიხუროს და ამასთანავე იმდენი ეკონომია გასწიოს, რომ ლექციების მოსასმენი ფასი 90—96 მან. ყოველ წლივ უნივერსიტეტში შეიტანოს. იმავე ფულით უნდა შეიძინოს აგრეთვე სათბილობელი ჩასაცმელიც, რომლითაც მხოლოდ-ღა შეიძლება გაძლება ტომსკის ყინვე-

*) იხ. „ივერია“ № 265.

*) ტომსკის უნივერსიტეტში სულ 6 ქართველი სტუდენტია და ყველანი შეუძლებელნი სემინარია-დამთავრებულნი არიან. წარსულს წელს 5 სტუდენტი იყო, რომელთაგანაც ერთი დორპატის უნივერსიტეტში გადავიდა, ხოლო ახლად მოემატა ორი (ერთი მათგანი 15 წლის წინად სემინარია-დამთავრებულია).

---

დით, თუ ნებით არავინ დაგანებებთ, ძალით მაინც წაართვით! ამ სიტყვებზედ მოხუცმა ზაქარამ გაიღიმა, წელში თითქოს გაიმართა და ჩაცვივნული თვალები მამაცურად წარბებ ქვეშ გაუნათდა; ამ თვალებში რაღაც ვაჟკაცობის ნაპერწკალს შენიშნავდით.

— ბიჭოს, ეს კარგი ბიჭი ყოფილა! — წაჰკრა მუჯლუგუნი ერთმა ახალგაზდამ მეორეს.

— ბიჭო, მოდი ერთი კარგი პატარძალი ვუშოვნოთ წმ. გიორგობას ზაქარ-ბიძას.

— შვილო, მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო, თქვენი სული გოგოებშია, წადით, შვილო, ნუ სცდებით! ეჰ, წაიდუდუნა ბერიკაცმა, ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანი. მოხუცი ზაქარა კიდევ ბევრს რასმეს ეტყოდა ახალგაზდებს, მაგრამ ისინი გზას გაუდგნენ კიჟინითა და ხტუნაობით.

— ბიჭოს, კარგად შეგვამკო ზაქარ-ბიძამ: ვირებადაც-კი დაგვხადა მაგ ოჯახქორმა; ჩვენ იმ ანდაზასავით მოგვივიდა: ვირს რომ ზურგი აჰქავდება, სახაბაზოს მიადგებაო. რა გვინდოდა, რომ მასლაათი გავუბით ზაქარ-ბიძას? არ ვიცოდით, რომ სიტყვაში ვერ მოვუგებდით? უთხრა სირბილისაგან გულ-ამომჯდარმა პეტრემ თავისს ამფსონს თევდორეს. მე და ჩემი ამხანაგი ნიკოც თან დავედევნეთ კუდ-ბაწარასავით გაბმულ მლოცავების ურმებს...

მშვენიერი დღე იყო. გეგონებოდათ, მთელი საინგილო აყრილა და საითკენლაც მიეშურებაო. მდ. ქურმუხის ფართო რიყეზედ ხვნეშითა და პირიდგან ორთქლის გამოშვებით მიარახრახებდნენ მლოცავების ურმებს დასვენებული ხარ-კამეჩი. გავედით მდ. ქურმუხს. ერთის ვერსის მანძილზედ იყო გამოშვებული მლოცავების ურმები. ზოგი მლოცავები კიდეც ჩამჯდარიყვნენ საუზმის შესაქცევად. ღვინით სავსე არაწებით (არაწი პატარა ერთყურა ქოთანია, ინგილოები ჭიქის მაგივრად ღვინის სასმელად არაწსა ჰხმარობენ) ერთმანეთს აღღეგრძელებდნენ და ადიდებდნენ იმ წმიდანს, რომლის კარზედაც მოსულიყვნენ სალოცავად. „ღმერთო და ქურმუხის წმ. გიორგივ, თქვენს მადლს ვენაცვალე, გაგვატანეთ თქვენი წყალობა თქვენს მლოცავებსა, მოგვეც დღეგრძელობა, კარგი მოსავალი და ბარაქა ჩვენს ნახნავ-ნათესს და საქონელსა“! მოიშვლიპა თეთრწვერა ბერიკაცმა თავიდგან ტყავის ქუდი, პირჯვარი გადიწერა და დაილოცა. იმის მაგალითს დანარჩენი სუფრაზედ მყოფნიც მიჰყვნენ.

„ვენაცვალე მაგის მადლსა“, განაგრძო თავისი სიტყვა ბერიკაცმა, „ეგა ყოფილა წინედაც ჩვენი მფარველი და მშველელი და ეხლაც მაგან უნდა შეგვინახოს!..“

— ამინ! მიუგეს ერთხმად ღვინისაგან შეწითლებულმა სუფრაზედ ჩამწკრივებულმა ყმაწვილმა ბიჭებმა, რომლებიც სრულის თანაგრძნობით ისმენდნენ მოხუცის სიტყვებს.

„მღვთისმშობელი შეგვეწიოს და მასთან ქურმუხის წმ. გიორგიც!“ ამ სიტყვებზედ ერთი კიდევ ჩაირახრახა ღვინით სავსე არაწი ბერიკაცმა და გადუწოდა თავის უფროსს შვილს, რომელსაც თვალი არაწისაკენ ეჭირა.

„ბერი კაცი თვრესო,
ვაჟკაცს ერთი ხვდესო,
ყმაწვილს სუნი მიედინოს,
ღმერთს თაყვანი სცესო“...

სთქვა მოხუცებულმა, „ღმერთს ეს ღვინო სწორედ მოხუცებულებისათვის გაუჩენია. მე თუ ვცოცხლობ, ეს ღვინო მაცოცხლებს, მაგრამ დაილოცა წრევანდელი მოსავალი!“..

— არა უშავს-რა, მამი, ქართული ანდაზაა: ბერი ხარისა რქანიც ეწევიანო, შენ კიდევ აჯობებ ამისთანა ჯეელებსა და მიიშვირა ღიმილით ხელი თავისს მომდევნო ძმაზედ უფროსმა შვილმა.

— არა უშავს-რა, თავ საცილს კაცი არ მოუკლავს, უპასუხა მას უმცროსმა ძმამ, რომელსაც ღვინისაგან სახე გასჭარხლებოდა და თვალებიც აცა-ბაცა მიუობოდნენ.

„ჰე, ღმერთო, შენ გვიშველე“, წამოდგა მიწაზედ ორ ხელ დაბჯენით მოხუცი ვასილი, რომელსაც უფროსმა შვილმა ხელი მიაშველა ასადგომად. „მე ყალიონს მოვწევ, შვილო, და ეხლა თქვენ იმხიარულეთ“, უთხრა უფროს შვილს მოხუცმა ბერიკაცმა. დაუძახეს ზურნას და მოჰყვნენ ახალგაზრდანი თამაშობას. ლხინი კარგად გახურებული იყო, რომ ამ მხიარულობას მოადგა ერთი კარგად ჩასუქებული წითურ-

წითური მღვდელი ეკლესიის მნათითა.

„ეგრე, შვილო, ეგრე, ღმერთმა მხიარულობა ნუ მოგიშალოთ!“ დალოცა მღვდელმა მომხიარულენი.

— მობრძანდი, მამაო, მობრძანდი, მიეგება მღვდელს მოხუცი ვასილი და ხელზედ ემთხვია. სიდედრს-კი არა ჰყვარებიხარ, მამაო! მაგრამ არა უშავს-რა. მოიტათ, შვილო, მღვდელი შევანაყროთ, დაუძახა ვასილმა თავისს უმცროს ვაჟს, რომელიც მამის ბრძანებაზედ ციბრუტივით დატრიალდა.

— მადლობელი ვარ, ჩემო ვასილ, მადლობელი, მე საჭმელად არა მცალიან, სამღვთოს ტყავებს ვაგროვებ ეკლესიისათვის, ხორცი თქვენა, ტყავი ღმერთსა.—

— „მოართვით“, დაუძახა ბძანების კილოთი ბერიკაცმა თავისს უფროსს რძალსა, რომელმაც ცხვრის ტყავი მარდად მოარბენინა და გადასცა მღვდლის გვერდზედ მდგომ ეკლესიის მნათესა. ყმაწვილებს არც მღვდლის მოსვლა და არც მისი საუბარი ვასილთან არ გაუგიათ, ისე იყვნენ გართულნი და გატაცებულნი მხიარულობით.

დავანებეთ თავი ამ მხიარულობას მე და ჩემმა ამხანაგმა და მივადექით ერთ პატარა გორაკას, რომელიც დაფარული იყო ზურმუხტის ფერ ბალახით და მაღალ ბუჩქებით. ძირიდგან მოკიდებული წვერომდის ამ გორაკაზედ ადიოდა გატკეცილი ვიწრო გზა, რომელიც გველივით მიიხლაკნებოდა და თეთრ ხაზად გამოსჩანდა გორაკის ახავერდებულ ფერდოებზედ. ამ ვიწრო გზას დავადექით მე და ჩემი ამხანაგი ნიკო. გზაზედ ბევრი მლოცავები შეგვხვდნენ, რომელნიც, სალამის მაგიერ, ერთნი ეუბნებოდნენ „გწყალობდეთო“ და მეორენი უპასუხებდნენ: „თქვენიც მწყალობელი იყოსო“. რამდენისამე ხნის შემდეგ, ჩვენმა პატარა ბილიკამ აგვიყვანა გორაკის ბრტყელ თავზედ, რომელზედაც იყო აძართული უზარ-მაზარი კლდე; ამ კლდეს სამხრეთისაკენ ქიმი გამოეშვირა და ეს ქიმი მთლად შერუჯული იყო სანთლებისა და საკმლის ბოლით. მის წინ იდგა შემოსილი მღვდელი, რომელსაც ერთ ხელში ჯვარი ეჭირა, მეორეში უსუპი და ხალხს ამწყალობებდა. მღვდლის წინ მიჰყავდათ მრავალი ზვარაკები: ძროხა, ცხვარი და ქათმის მაძლაყინწები, რომლებსაც მღვდელი ჯვარის სახით ბალანს უტრუსავდა წმ. სანთლით და ამწყალობებდა შემწირველთ. როგორც ხალხის გარდმოცემა ამბობს, ეს კლდე გამოქვაბულია, რომელშიაც წმ. გიორგის სახელობაზედ ეკლესია არსებობდა აქაო. ამ კლდის თავზედ შენიშნავთ შენობის ნანგრევს, რომელიც ან სამრეკლო იქნებოდა და ან სადარაჯო კოშკი. დასავლეთის მხრივ კლდე ჩამოჭრილია ცოკოლივით. ჩრდილოეთის მხრივ ჰნახავთ შენობების ნაქცევებსა და წყლის ორ მილს. ეჭვი არ არის, ეს შენობები ბერების საცხოვრებელი სახლები იქნებოდა და ამ მილებშიაც მოედინებოდა მთი-

ბის წინააღმდეგ. არც ერთს მათგანს სამუშაო არა აქვს და, თუნდაც რომ ჰქონდეს, როგორ შესძლოს საქართველოს შვილმა ტომსკის 40—45° ყინვასთან ბრძოლა, როგორ იაროს 2—3 ვერსის მანძილზედ ზამთარში *)...

ასეთს არა-სანატრელს სურათს წარმოადგენს ტომსკის ქართველ სტუდენტობის ცხოვრება და ხსნაკი?.. ჯერ-ჯერობით არსაიდგან.

მაგრამ ამდენ სამწუხარო ამბავთანა და გაჭირვებასთან არ შემიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნო ერთი სამაგალითო და საგულისხმიერო შემთხვევა. ჩვენის ქვეყნიდგან გამოდევნილმა, ჩვენმა თანამემამულემ ბ ნმა ილია ანტონის ძემ თავზარაშვილმა, თუმცა-ღა არც თითონაა დიდის შეძლების პატრონი, (აქ გადმოსვლის შემდეგ პირველს წლებში თვეში 2—3 მან. უმსახურნია და ცხოვრების გზა ისე გაუკვლევია), სამაგალითო საქველ-მოქმედო საქმე დასთესა და ერთი შეუძლებელი ქართველი სტუდენტი უნივერსიტეტიდგან გამორიცხვისაგან დაიხსნა სალექციო ფასის შეუტანლობისა გამო. თავზარაშვილმა თვისი მცირედი შეძლებიდგან 40 მან. აღნიშნულ სტუდენტისათვის უნივერსიტეტში შეიტანა.

იმედია, ჩვენი ქართველი საზოგადოება ციმბირელთა გაჭირვებას და მათთან ერთად ყველა ქართველ სტუდენტების შევიწროებულს მდგომარეობას გულ-დასმით დაუკვირდება და, როგორც განზრახვა აქვთ, დროზედ რაიმე საშუალებას ილონებენ.

p. s. ეს წერილი რედაქციაში გამოსაგზავნად უკვე გამზადებული იყო, როდესაც შევიტყეთ, რომ სამს ქართველ სტუდენტს, რომელთაც დიდ-ვადიანი სესხი ჰქონდათ ნათხოვნი ტომსკის შეუძლებელ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების კასსიდგან, საზოგადოებამ უარი უთხრა.

ნ. რ.

**) ქ. ტომსკში ზამთარი იწყება თითქმის ოქტომბრის პირველ რიცხვებიდგანვე და თავდება აპრილის გასულს. საშინელი ყინვები იცის დეკემბერში და იანვარში—45.°-მდე, ხოლო დანარჩენ დროს 30—35°-მდე. როდესაც 25° ყინვა დგება, ტომსკელები იტყვიან ხოლმე—„მოთბა“-ო.

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ამ წინაზედ აღნიშნული გვქონდა ინგლისელებს რა ზარალი მოუვიდათ სამხრეთ აფრიკაში ომის დაწყების შემდეგ. ახლა ასეთსავე ცნობებს ბურების შესახებ იუწყებიან. „Cap. Times“-ის სიტყვით, ბურების მხრივ დღემდის 2,448 ჯარის-კაცი მოუკლავთ, ხოლო მეორე გაზეთის „Hot. Zuidwesten“-ის სიტყვით, როგორც პრეტორიაში მცხოვრებს მასწავლებელს გონდინსის გამოუანგარიშნია, ბურებისათვის აგვისტომდე სხვა-და-სხვა ბრძოლის დროს მოუკლავთ სულ 1,000 კაცი. აი, ამის დაწვრილებითი ცნობებიც: ელანდლააქტში—75 კაცი, დენდში—91, მოდდერსპრუიტში—33, კოლენზოში—7, შტორმბერგში—15, ბელმონტსა, გრასპერსა და მოდდერრივერში—120, მაგერსფონტენში—70, სპიონსკოპში—70, კიმბერლეიში—30, კოლსბერგსა და დორდრეხტში—35, ლედისმიტში—115, მეფკინგში—30, პაარდერბერგში—30, პიტერს-გოოგტეში—50, აბრაგამსკრაალში—25, ვაპენერში—15. გონდინსის ცნობები სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იგი წინედ ცნობათა შემკრებ ბიუროს მოხელედ იყო, სადაც ინგლისელთა და ბურების მოკლულ ჯარის-კაცთა ქაღალდები მიჰქონდათ ხოლმე. თითონ კრიუგერს-კი უთქვამს ლორენცო-მარკეზედგან წასვლის დროს, რომ წამოსვლენილ სიით დახოცილთა რიცხვი 1200—1400 დეა, მაგრამ ამათში დახოცილი უცხოელებიც ჩათვლილნი არიანო.

— ბრიუსელის ერთი გაზეთი ნამდვილად ამტკიცებს, რომ საფრანგეთი უოველგვარად სცდილობს, რომ შვეიცარიის კანტონების კავშირმა იკისროს და ინგლისსა და ტრანსვაალს შორის მედიატორეთა სამართალით საქმის გარდაწყვეტის შესახებ ლაპარაკი აღძრასო. გაზეთის სიტყვით, საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს დელკასსეს ბერნში მყოფი საფრანგეთის ელჩი ბიგურა უკვე პარიჟში გამოუწვევია ამ აზრით.

— 8 დეკემბერს მიუნხენში ბურების სასარგებლოდ 5,000—6,000 კაცის კრება მოხდა. სხვათა შორის, კრებამ იმედი გამოაცხადა, რომ რეიხსტაგი და იმპერიის მთავრობა ეცდებიან და თავის შეცდომას კრიუგერის მიუღებლობის შესახებ უთუოდ გაასწორებენ. თითონ კრიუგერს კრებაზედ დამსწრეთ დეპეშა გაუგზავნეს და მიუნხენში მიიწვიეს.

— როგორც მოგეხსენებათ, ბურების ცნობილს გენერალს დევეტს ინგლისელთა გენერალი ნოქსი თავისის ჯარით მთელი კვირა ნახევარი სდევნიდა და გზას უკრავდა, რომ ორანჟის მდინარეზედ არ გადაეშვა. ერთ ხანად კიდეც ამბობდნენ, რომ დევეტი, ეჭვი არ არის, უთუოდ ხელთ ჩაუვარდება ნოქსს, რადგანაც ჯარი საშინლად მოქანცული ჰყავსო, მაგრამ თურმე ნუ იტყვით, ეს ჩვეულებრივი ინგლისური დაჭშოშმინება და თავის მოტყუება იყო. როგორც ბლოემფონტეინიდგან დეპეშიდგანა სჩანს, დევეტი ძალიან მოხერხებულად თურმე გაუსხლტა და ბურების რაზმი 700 კაცით კაპის ახალშენში გადავიდა. ეს არაფერი, როგორც ხმა დადის ლონდონში, გენერალი ნოქსი დევეტს სრულიად დაუმარცხებია, მაგრამ მთავრობა ჯერ-ჯერობით ჰმალავს და მხოლოდ მაშინ და გამოაქვეყნებს, როდესაც პარლამენტის კრება დასრულდებაო.

— პრეტორიიდგან იუწყებიან, ინგლისელნი ითხოვენ ლორდის კიტჩინერისაგან, რომ ბურების წინააღმდეგ, რაც შეიძლება, სასტიკი ღონისძიებანი იხმაროს და პროკლამაცია გამოსცეს, რომ, ვისაც კი ბურთაგანს იარაღს უპოვიან, ან და შეიარაღებულს ჰნახვენ, უყველანი კანონის გარეშე იქმნებიან დასჯილნიო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

ამოკრებილი ამბები

ამას წინად ვწერდით, რომ მეცნიერნი გულ-მოდგინედ შეუდგნენ ჭაობის ციებცხელების, ეგრედ წოდებულ მალიარიის, შესწავლასაო. იმასაც ვამბობდით, რომ ამ სენის გამავრცელებელი ერთგვარი მწერიაო. კარგა ხანია ეჭვი ჰქონდათ, რომ მალიარია მწერის კბენისაგან ჩნდებაო, მაგრამ მხოლოდ 1899 წელს რობერტ კოხმა აღმოაჩინა თვით მწერი და დაამტკიცა, რომ მალიარია იმის შხამის შედეგია. ეს მწერი ყველაზედ ბლომად დაბუდებულია, მაშასადამე, მალიარია ყველაზედ მეტად მძვინვარებს, იტალიაში ჩივიტა-ვეკკიესა და ლივორნოს შუა. აი სწორედ ამ ადგილში შეუდგა ბრძოლას მავნე მწერის წინააღმდეგ მკურნალი გრასსი თავისს ახლად გამოგონებულ საშუალებით. ეს ადგილი ჭაობებითაა დაფენილი და ცხოვრება იქ თითქმის შეუძლებელია. განსაკუთრებით ცუდი სახელი აქვს დავარდნილი სელეს ველს, რომელსაც „სიკვდილის ველი“ დაერქვა. ერთმა რკინის გზის საზოგადოებამ მხოლოდ დიდის ხნის ყოყმანის შემდეგ გადასწყვიტა ამ ადგილზედ რკინის გზის გაყვანა. მაგრამ შეუდგნენ თუ არა მუშაობას, სცნეს, რა ძნელი ყოფილა ამ ადგილში საქმის დაჭერა: მოხელენი და მუშები სულ ყველანი ავად გახდნენ, თუმცა ყოველ დღე სხვ ადგილიდგან ახალ-ახალ წყალსა და სურსათს ეზიდებოდნენ მომუშავეთათვის. მკურნალმა გრასსიმ ამ ადგილში განიზრახა თავისს პრაქტიკულ საშვალების გამოცდა და მავნე მწერის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ საქმისათვის ფული გადასდეს დედოფალმა მარგარიტამ, რკინის გზის გამგეობამ, მთავრობამა და მალიარიის წინააღმდეგ მებრძოლმა საზოგადოებამ. სულ რკინის გზის იმ შტოზედ, რომელიც პირიან ადგილზედ იყო გ ყვანილი, ცხოვრობდა 104 მოსამსახურე. გრასსიმ იმ მოსამსახურეთა სადგომები წვრილის მავთულის ბადეებით მოაწყო. სადგომის ყველა კარებსა და ფანჯრებს ეს ბადეები გაუკეთა ამას გარდა ის კარებები, რომელზედაც მალ-მალე უხდებოდათ გავლა, პატარ-პატარა გალერეებით მოაწყო და ამ გალერეებშიაც ასეთი ბადეები გააკეთა. ამ რიგად გრასსიმ სადგომები მიუდგომელ ციხეებად გადააქცია მწერთათვის, რომ ლნიც სახლებს სალამოობით და ღამე ეტანე იან ხოლმე. მავთულის ბადეების წყალობით მწერები სახლში ვეღარ შედიოდნენ. რათა გარეთ არ დაეკბინათ მოსამსახურენი, გრასსიმ ყველას მეტად თხელი პირბადეები და მაგარი ხელთათმანები დაურიგა. მთელი დღე მოსამსახურენი პირბადე ჩამოფარებულნი და ხელთათმანებში გამოწყობილნი დადიოდნენ. ვისაც შემთხვევით მწერი უკბენდა, იმას მაშინვე ქინაქინას ასმევდნენ. ამ საშუალებათა წყალობით 104 მოსამსახურეთაგან მხოლოდ სამი კაცი გამხდარა ავად, ისიც იმიტომ, რომ ეს კაცები პირბადესა და ხელთათმანებს ზოგჯერ არა ხმარობდნენ ხოლმე. იქავე ახლო რკინის გზის სადარაჯო სახლი იყო, სადაც 25 კაცი სცხოვრობდა. ოც-და-ხუთივენი ავად გახდნენ მალიარიით. მახლობელ სოფლებში სცხოვრობდა 211 მეურნე, ესენიც, ოთხის გარდა, ავად გახდნენ. ამ რიგად რკინის გზის მოსამსახურენი ავადმყოფობას მხოლოდ გრასსის საშუალებამ გადაარჩინა. იტალიისთვის ამ ახალს საბრძოლველს საშუალებ ს სენის წინააღმდეგ დიდი მნიშვნელობა ექმნება, რადგანაც ყოველ წელიწადს მალიარიისაგან 30,000 კაცამდე კვდება. ამას გარდაც ამავე სენის წყალობით უნაყოფიერესს ადგილებში ტოსკანსა, კალაბრიასა, სიცილიასა და სარდინიაში მუშაობა ბეუძლებელი ხდება.

დგან მონასტრისათვის წყალი. კლდეს დიდად პატივისცემით და მოწიწებით ეპყრობიან ინგილოები. იქნება, ის ხალხური გარდმოცემა, რომელიც გარდმოგვცემს, რომ ეს კლდე გამოქვაბულიაო, მართალიც იყოს და ყოველივე სიწმიდე დიდებული ქურმუხის მონასტრისა აქ იმალებოდეს, რადგან ქრისტიან ინგილოებზედ ისეთივე დევნა იყო ამართული, როგორც რომის იმპერიაში მტარვალ მეფეების ნერონისა და დიოკლიტიანეს დროს. ინგილოები იძულებულნი იქმნებოდნენ მივარდნილ ალაგებში ელოცნათ და კატაკომბებივით რამე გამოექვაბათ.

როგორც გარდმოცემა მოგვითხრობს, ბოლოს ისე გამწვავდა ქრისტიანების დევნის საქმე, რომ ლეკები ქურმუხის მონასტრის ნანგრევებზედაც-კი აღარ უშვებდნენ სალოცავად. ვისაც უნდოდა საღმრთო შეეწირა, იგი ფარულად უნდა გამოსულიყო სოფლიდგან, გამოეყვანა თავისი საღმრთო, დაპირდაპირებულიყო ზემო ნათქვამ კლდეს, დაენთო სანთელი და დაეკლა საღმრთო. ლეკებს რომ სანთლის შუქი არ შეენიშნათ, ინგილოს სანთელზედ ქუდი უნდა დაეფარებინა, ვიდრე დაიწვებოდა. შემდეგ წაიღებდა საღმრთოს და ნაჭერ-ნაჭრად დაურიგებდა ნაკურთხ ხორცსავით თავისს მეზობლებს.

სარწმუნოების მტკიცედ დაცვა მთლად მიეწერება ინგილო დედებსა, რომლებიც ოჯახში ფარულად იცავდნენ ქრისტიანობის ყოველსავე წესსა და მღვდელ-მოქმედებასაც-კი ასრულებდნენ. ბოლოს ქრისტიანობის დევნამ იქამდე მიაღწია, რომ ინგილოები იძულებულნი შეიქმნენ აერჩიათ ტყეებში, ბალებში წმიდა ალაგები, იქ შეყრილიყვნენ და თავიანთ ღმერთისათვის ისე ეცათ თაყვანი. ეხლაც არიან დარჩენილი ის ალაგები, რომლებსაც ინგილოები „საყდრებს“ უწოდებენ და მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნიათ, რომ ვინმემ იქ ხე ტყე მოსჭრას და იმითი ისარგებლოს. აღმოსავლეთის მხრივ, რამდენისამე ნაბიჯის მანძილზედ ამ შესანიშნავ კლდიდგან, არის მშვენიერ გეგმაზედ აგებული პატარა ეკკლესია წმ. გიორგის სახელობაზედ, რომელიც აღუშენებია 1894 წ. ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას. ხალხის გარდმოცემით, ეს ეკკლესია სდგას სწორედ იმ ალაგას, სადაც ძველად ღვთის-მშობლის ტაძარი იყო. თუმცა ეს ეკკლესია პატარაა, მაგრამ ხალხში იგი ისევე „დიდ საყდრად“ იწოდება და ისევ ის პატივისცემა აქვს, როგორც ოდესმე ამ ალაგას აშართულს დიდებულს ქურმუხის ძველ ტაძარს. როგორც გადმომცეს, მთავრობას აზრად ჰქონია აქ ისევე მონასტერი დააარსოს. უმაღლესის ბძანებით, ამ ეკკლესიისათვის 1893 წ. დაუთმიათ 35 დესეტინა ტყე. ბერად შედგომა მოუსურვებია კიდეც აქაურ ინგილოს მიხეილ თაგოშვილსა, რომელსაც საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანესაგან კურთხევის ნება-რთვა მოსვლია. ღმერთმა ჰპრძანოს, მთავრობას უფრო მომეტებული ყურადღება მიექციოს ამ წმ. ალაგისათვის, მ. თაგოშვილის მისწრაფება განხორციელებულიყოს, ქურმუხის ეკკლესია კვლავ ისე აყვავებულიყოს და ხალხისა და ქვეყნისათვის ისეთივე სამსახური გაეწიოს, როგორც ოდესმე ამ ალაგზედ ამართულ დიდებულ ქურმუხის მონასტერს!..

ცოტა ხნის შემდეგ შევედით ახალ ეკკლესიაში, სადაც ხალხის სიმრავლისაგან ნემსის კუნწი არ ჩავარდებოდა. აქაც მღვდელი იდგა და ხალხს ამწყალობებდა. ინგილოებს, გარდა ზვარაკებისა, შესაწირავად მიჰქონდათ ყაჭი, წითელი კვერცხები, ხილი, ნაზუქები და ქადები. მლოცავთა შორის ჩვენი ყურადღება მიიქცია მუსულმან ინგილოებმა, რომელნიც, როგორც ქრისტიანენი, მოდიოდნენ ამ კლდესთან, თაყვანსა სცემდნენ, სანთლებს ანთებდნენ, მღვდელს მკლავზედ შებმულ გახვრეტილს უზალთუნებს აჰრევინებდნენ და იქვე სტოვებდნენ. მუსულმანი ინგილოები უფრო წმინდად ლაპარაკობდნენ ქართულს, ვიდრე ქრისტიანენი.

გამოვედით ეკკლესიიდგან და გადმოვხედეთ დღეობის ხალხსა, რომელიც გაშლილიყო ფართო ვაკეზედ. ჩვენ თვალ წინ იყო გადაშლილი მშვენიერი დაცემული ტრიალი ვაკე საინგილოსი, ბუნების სიმდიდრით დაჯილდოვებული, რომელზედაც გამოსჩანდნენ მცენარეებით დაბურულნი ინგილოების სოფლები და მათი ბინები. აღმოსავლეთის მხრივ მოსჩანდა თითქმის მთელი ნუხის მაზრა, რომლის სივრცეშიაც იკარგებოდნენ ლაჟვარდი მთები და ისარივით სწორე ფოსტის გზა ნუხში მიმავალი, ჩარიგებული ორსავე მხრივ კაკლისა და თუთის ხეებით. დასავლეთით მოსჩანდა ქიზიყი და ხირსის წმ. სტეფანეს უდაბნო. სამხრეთით—გადახრუკული შირაქის მინდორი, რომელზედაც ზარმაცად მიიზლაზნებოდა მდ. ალაზანი. ჩრდილოეთით ამ მშვენიერს სურათს ამკობდნენ თოვლით დაფენილი კავკასიონის მთები. ამაზედ უმშვენიერესს სურათს კაცის თვალი იშვიათადა ჰნახავს! ვისაც-კი უნდა, რომ საინგილოს ბუნების სიმშვენიერით დასტკბეს, სწორედ ამ ალაგიდგან უნდა გადმოხედოს! დავსტკბით ბუნების სილამაზითა და დავეშვით მე და ჩემი ამხანაგი ნიკოძირს ფართო ვაკეზედ, რომელზედაც მლოცავები ჯგუფ-ჯგუფად დაბანაკებულიყვნენ. აქა-იქ უკრავდა ზურნადაფი, რომლის ხმაზედაც დინჯად, ტანის შეურხევლად და მარდად ფეხების გასმით მშვენივრად თამაშობდნენ ახალგაზდა ქალები და ბიჭები. აღტაცებაში მომიყვანა ამნაირმა მხიარულობის სურათმა და მომაგონა ჩვენის მწერლის უკვდავი სიტყვები:

> „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?
> ერი გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!
> შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,
> იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა.

თუმცა ინგილოებს კიდევ შერჩენიათ პურადობა, ანდამატივით გული, მხნეობა და თავის მამულის სიყვარული, მაგრამ ამ შავთა დროთ ბრუნვას სიმღერა-კი სრულიად ამოუფხვრია და მისი აჩრდილიც აღარსად არის საინგილოში! ინტელიგენტებსაც, რომლების რიცხვი მცირე იყო, გაეშალათ სუფრები, მომხიარულე გლეხ-კაცობის მზერით სტკბებოდნენ და სადილს მძიმედ შეექცეოდნენ. მე და ჩემი ამხანაგი მიგვიწვია ერთმა მასწავლებლად ნამყოფმა ინგილომ.

— რატომ ერთად არ შეყრილხართ და საერთოდ არა დღესასწაულობთ ამ მშვენიერ დღესა? უფრო მხიარულად არ გაატარებდით? დავეკითხე მასპინძელს.

— რავქნა, ძმაო, ჩვენში ყოველ ინტელიგენტს თავისი თავი ჩინეთის ბაღდი-ხანად მიაჩნია, ცა ქუდად არა ჰკმარის და დედა-მიწა ქალამნად. ჭკუა ჭკუას ვერ უდგება და მხიარულობა მხიარულობასა. საზოგადოდ კეთილის აზრების გავრცელებას ხომ ჩვენში ალაგი არა აქვს, ყველა თავის დღიურ ლუკმისათვის ჰზრუნავს. რამდენისამე ხნის შემდეგ, როდესაც კარგად შეზარხოშდნენ, ინტელლიგენტებმა ერთმანეთთან დაიწყეს სიარული. მისალმებას ქალებ კაცებს ვერ ასრულებდნენ და კაცები ქალებს, რომლისაც თავსა და ბოლოს საყვედური მოსდევდა ხოლმე: „რატომ ჩვენკენ არ ჩამოივლით?!“, ეუბნებოდა ერთი მეორეს. ამასობაში ხალხ ც აიშალა და ყველა თავისს სოფლისაკენ გაემართა. ასე მხიარულად ჩაიარა წელს ქურმუხის წმ. გიორგობამ!

გ. ფარადაშვილი

* *

ველოსიპედმა ჩინეთშიაც მოიკიდა ფეხი. პირველ ხანს ჩინელებს სიცილად არა ჰყოფნიდათ, როდესაც ველოსიპედით მიმავალ კაცს დაინახავდნენ ხოლმე, მაგრამ თან-და-თან შეეჩვივნენ, და ეხლა ზღვის ნაპირს მდებარე ქალაქებში არა ერთ ჩინელს შეჰხვდებით, ველოსიპედით მოსეირნეს. ჩინელები, როგორც ყველა სხვა საქმეში, ამ შემთხვევაშიაც მალე მიჰხვდნენ, რომ ველოსიპედი გამოსადეგია. საკვირველი ის არის, რომ ჩინელი ქალები, ეს კარ-ჩაკეტილი არსებანიც-კი, არ ერიდებიან ველოსიპედს. შანჰაიში, მაგალითად, ეხლა არა ერთი და ორი ჩინელი ქალი დასეირნობს ველოსიპედით.

* *

ვენაში სცხოვრობს ამ ჟამად ერთი მოხუცი დედა-კაცი მარია ტერეზა კულა, რომელსაც 28 წარსულ ნოემბერს 101 წელიწადი შეუსრულდა. ქ-ნი კულა დაიბადა 1799 წლის 28 ნოემბერს. ამ დედაკაცის ერთად-ერთი შვილი ახალგაზდობაში გარდაიცვალა. ქ-ნ კულას ნაპოლეონი ვენაში უნახავს და კარგად ახსოვს ის გაჭირვებული დღენი, რომლებიც მაშინ ვენელებმა გამოსცადეს. 50 წელიწადია, რაც კულა ერთსა და იმავე სახლში სცხოვრობს და ამ 50 წლის განმავლობაში დადიოდა სარჩენად ავადმყოფობის დროს ერთსა და იმავე მკურნალთან ადამთან, რომელიც შარშან გარდაიცვალა. კულა თავისუფლად დადის, უსათვალეებოდ კითხულობს გაზეთებს და თითქმის ყოველგვარ საქმეს აკეთებს.

* *

მოსკოვში პროფესორს ბობროვს საინტერესო ოპერაცია მოუხდენია. ამ პროფესორს ერთის ახალგაზდა, 24 წლის კაცისათვის თითქმის ნახევარი მუცელი ამოუჭრია. ავადმყოფი რამდენსამე სამკურნალოში დაწოლილა, მაგრამ ვერსად ვერ მოურჩენიათ. მუცლის ტკივილი საშინლად აწუხებდა თურმე. ბოლოს ნამდვილ ჩონჩხად გადაქცეულა და მხოლოდ 2 ფუთსა და 20 გირვანქასლა იწონიდა. როდესაც ბობროვთან მისულა, პროფესორს გაუჭრია მუცელი და დიდი იარა უნახავს, ამდგარა და ნახევარი მუცელი ამოუჭრია. ოპერაციას მშვიდობიანად ჩაუვლია. ავადმყოფი ეხლა სამკურნალოში წევს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 დეკემბერი

**შანჰაი.** ტაოტაიმ შენმა შეატყობინა ელჩებს, რომ ჩინეთის იმპერატორის სახლობამ გადასწყვიტა არ დაბრუნდეს პეკინში იმ დრომდე, ვიდრე ზავი არ იქნება დადებული.

**კაპშტადტი.** როგორც აქ მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, ბურების რაზმი, 700 კაცისაგან შემდგარი, ალივალნორტით შევიდა კაპის ახალ შენ ში და მივიდა კნაპდაალამდე.

**ლონდონი.** გუშინ ნადიმზე რუსეთის ფინანსთა სამინისტროს აგენტმა ტატიშჩევმა რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელოს პასუხად სთქვა: როგორც შუამავალი რუსეთისა და ინგლისის ვაჭრობისა დიდის სიხარულით ვისმენ თანაგრძნობის გამოცხადებას; ეს შეძლებას მაძლევს დავრწმუნდე, რომ ორ ერს შუა თანახმობა გულწრფელია და რომ ეს თანხმობა შემთხვევითი კი არა, სამუდამოა.

**ვენა.** ხვალ, ხელმწიფე იმპერატორის სახელ-წოდების დღეს, რუსეთის ელჩის განკარგულებით, რუსთა ეკკლესიაში გადახდილ იქმნება სადღესასწაულო წირვა; შემდეგ ელჩთან საუზმე იქმნება. სალამოზედ ავსტრიის იმპერატორს ექმნება სადილი, რომელზედაც მიწვეულნი არიან რუსეთის ელჩი და საელჩოს წევრნი.

**ვაშინგტონი.** გეიმ დეპეშით გაუგზავნა კონჯერს ინსტრუქციები, რომლებითაც აცილებულ იქმნება დაბრკოლება საერთო ნოტის წარდგენის საქმეში; ეხლა აღარაფერი აღარ დააბრკოლებს საერთო ნოტის ხელის მოწერას; ინგლისის ელჩიც არ იქნება წინაამდეგი.

**ალივალნორტი.** იმ ბრძოლაში, რომელიც 30 ნოემბერს მოხდა რუქსვილის იქითა მხარეს, მონაწილეობა მიიღო ბრაბანტის ცხენოსანთა ერთმა ესკადრონმა. ინგლისელებს მოუკლეს 8 კაცი და დაუჭრეს 18; ტყვედ წაიყვანეს ბურებმა 48.

**პეკინი.** რათა დარწმუნდნენ, რომ „დიდმა მუშტმა" იერიში მიიტანა ხასივზედ, ჩაფფიმ გაგზავნა ცხენოსანი და ქვეითი რაზმი ხასივის მიდამოების და' აზვერად, ხოლო თუ საჭირო იქმნება, აჯანყების მოსასპობად. დროებით მთავრობას დღეს სხდომა ჰქონდა, რომელსაც დაესწრო ხუთი საგანგებოდ მოწვეული წარჩინებული ჩინელი.

6 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** ლეიბ-ხირურგს გირშს ებოძა წმ. ალექსანდრე ნევლის ორდენ ს ბრილიანტის ნიშნები. დიდ მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს ებოძა 1 რანგის კაპიტნობა, დიდ მთავარს კირილე ვლადიმერის ძეს—ლეიტენანტობა.

**კაპშტადტი.** როდესაც ბურების რაზმი შაბათს კაპის ახალშენში შევიდა და ორანჟეს მდინარეზე გადავიდა ალივალნორტის დასავლეთით, იგი შეეხეჩა კაპის ცხენოსანდარაჯთა რაზმს და ბრაბანტის ცხენოსნებს, რომელთაც ზარალით უკან დაიწიეს.

**კაპშტადტი.** როგორც ალივალნორტიდგან მოსული დეპეშა იუწყება, ბურების რაზმი, ჰერცოგის უფროსობით, კვირას გადავიდა ორანჟეს მდინარეზე ოდენ-დალსტრომსა და ბეტულის შუა. ჰფიქრობენ, რომ რაზმი 600 კაცისაგან შესდგება. ბრაბანტის ცხენოსანთა რაზმის მეორე ბატალიონი დაედევნა ბურებს, რომელთაც გზას უკრავდა ალივალნორტიდან გაგზავნილი კაპის პოლიცია და სადარაჯო რაზმი.

**ვენა.** „Pol. Corr."-ში დაბეჭდილია ჩერნოგორიის სახელმწიფო საბჭოს ადრესი, რომელშიაც საბჭო სთხოვს მთავარს ნიკოლოზს მიიღოს მეფის წოდება ორმოცი წლის მთავრობის აღსანიშნავად.

**ლონდონი.** სოლსბერიმ სიტყვა წარმოსთქვა კონსერვატორთა კავშირის კრების დროს. მინისტრმა სთქვა, სიტყვის წარმოთქმა მიხდება მაშინ, როდესაც რამოდენადმე სიმშვიდე ჩამოვარდა, თუმცა დანამდვილებით არავინ იცის რა მოხდა. სახელმწიფოს წარმატება დამოკიდებულია იმ დიად საქმის ნაყოფებზე, რომელშიაც ეხლა ინგლისი მონაწილეობას იღებს, ამიტომ არ უნდა შეუშინდეთ არავითარ გაჭირვებას იმისათვის, რომ უზრუნველ ვყოთ სახელი და საპატიო მდგომარეობა ინგლისისა.

**პარიჟი.** პალატამ ღამის სხდომაზედ შეიწყნარა ამნისტიის პროექტი, რომელიც დრეიფუსის საქმის გარდა, ეხება აგრეთვე მუშების გაფიცვასა, ყრილობებსა, ასოციაციებსა და ალჟირში მომხდარ არეულობებს.

**პარიჟი.** რათა თავიდგან აცილებულ იქმნას ის უხერხულობა, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს სამხედრო ნადავლის დასაკუთრებამ, მთავრობამ გადასწყვიტა, ყოველივე საქონელი, რომელიც ჩინეთის მთავრობას ეკუთვნის და კერძო პირთა საკუთრებას შეადგენს, აგრეთვე სხვა საქონელი, საომარ მასალისა და სურსათის გარდა, რასაც საფრანგეთის ჯარი მიითვისებს, დაუბრუნოს ჩინეთის მთავრობას. ამ აზრით დაიჭირეს მარსელში ამას წინათ მოტანილი ყუთები.

7 დეკემბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს, დედოფლის იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულისა და საიმპერატორო გვარეულობის წევრთა თანდასწრებით, გატჩინის სასახლის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგაც საუზმე გაიმართა. იმავე დღეს სასახლის ველიკ ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და სამადლობელი პარაკლისი. ისაკიევის ტაძარში წირვა გარდაიხადა მიტროპოლიტმა ანტონიმ. მისის უდიდებულესობის განკურნების გამო გარეშე საქმეთა სამინისტროში გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო სამადლობელი პარაკლისი. ხელმწიფე იმპერატორის განკურნების გამო სამადლობელი პარაკლისები გარდახდილ იქმნა მოსკოვსა, ვილნოსა, კოვნოსა, ნოვოჩერკასკსა, ნოვგოროდსა.—პარიჟსა, ვენასა, სოფიასა და ბუდაპეშტში, ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების გამო, გარდახდილ იქმნა პარაკლისები.

**ამსტერდამი** კრიუგერი აქ მოვიდა. სადგურის სამეფო ოთახში დახვდნენ მოხელენი, სახელმწიფო საბჭოს წევრნი, ტრანსვაალის და ორანჟეს რესპუბლიკათა ელჩნი.

**პეკინი.** ვალდერზეემ გასცა ბრძანება, რომელთაც განსაკუთრებულ საკავშირო რაზმებს მიანდო, პეკინ ს მიდამოებს თვალ ყური ადევნონ. ბრძანებაში ფელდმარშალი უმატებს, მე ვიცი, რომ ჩინელთა კარგა დიდი ჯარი შანსის პროვინციის ჩრდილოეთითა სდგას, მეორე—სამხრეთით. ამისდა მიუხედავად, არა მგონია უკვე დაწყობილ სუსხიან ზამთრის განმავლობაში ჩინელნი თავს დაგვესხან. მაგრამ რომელ ოლქსაც მოკავშირეებმა დიდხანს თვალ-ყური არ ადევნეს, იქ ყოველთვის ყაჩაღები და მოხრიგენი იყრიდნენ თავს; ამიტომ საჭიროა მოკავშირეთა დახმარება მრავალრიცხოვანის ძლიერის სადარაჯო რაზმების გასაგზავნად ცალკე ოლქებში.—ხვალ ელჩებს თათბირი ექმნებათ.

**ლონდონი.** რობერტსის დაბრუნების გამო წმ. პეტრეს ტაძარში გან ძრახული სამადლობელი პარაკლისი არ იქმნა გარდახდილი.

**პეკინი.** ცინმა და ლიხუნჩანგმა დაარწმუნეს პიშონი, რომ მნიშვნელობა არა აქვს ინდო ჩინეთის საზღვარზედ ჯარის მოძრაობას; რომლის გამოც ამას წინად ელჩი სჩიოდა; ჯარი იქ მხოლოდ ყაჩაღების წინააღმდეგ იქმნა გაგზავნილი. „ჩინეთს,—სთქვეს იმათ,—აზრად არა აქვს, სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებისას ახალი დაბრკოლებანი გამოიწვიოსო".

**პეკინი.** როგორც ისმის, ინგლისის წინადადება იმის შესახებ, რომ ჩინეთისთვის გადასაცემ ნოტაში შეცვლილ იქმნას პირველი სიტყვები, სახელმწიფოებმა მიიღეს. რუსეთი და იაპონიაც თანახმანი არიან. არ იციან, რა აზრისაა შეერთებული შტატები, მაგრამ იმედი აქვთ, რომ ისიც თანხმობას განაცხადებს. ინგლისი თხოულობს, წინანდელ სიტყვის ნაცვლად დამატებულ იქმნას, რომ პეკინსა და ჩილის პროვინციიდგან მოკავშირეთა ჯარი იმ დრომდე არ იქმნება გაყვანილი, ვიდრე ჩინეთი მოკავშირე სახელმწიფოთა მოთხოვნილებებს არ შეასრულებსო. გერმანიის ელჩი ბეგრსა სცდილობს ამ წინადადების სასარგებლოდ. ამ რიგად შეცვლილ ნოტას დაუყოვნებლივ ხელი უნდა მოაწერონ, სამი-ოთხი დღის შემდეგ ნოტა ჩინეთის წარმომადგენელთ გადაეცემა.

**პეკინი.** ტიანძინსა და პეკინს შუა 5 დეკემბრიდგან დაწყობილი ორსავე მხრიდგან სისტემატიურად ივლის თითო სახსლხო მატარებელი.

**ვაშინგტონი.** როგორც უკანასკნელად მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, ტელეგრაფის შეცდომით თუ სხვა მიზეზით, ინგლისს, რომელმაც წინააღმდეგობა განაცხადა ჩინეთისათვის გარდასაცემ ნოტაში სიტყვის „აუცილებლად" ხმარების გამო, საბუთი ჰქონდა ეფიქრა, რომ შეერთებულ შტატებს ჰსურს, ეს სიტყვა დარჩეს. მაგრამ შეერთებულ შტატებს სწორედ ეს არა ჰსურდა. ორსავე სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებაა, ამასთან ამერიკა სცდილობს, ნოტიდგან სიტყვა „აუცილებლად" მოშორებულ იქმნას. ეს საქმე საძნელო ხდება, რადგანაც ინგლისი რომელმაც სიტყვა „აუცილებლად" თუმცა წინანდელ თავისს აზრის წინააღმდეგ მიიღო, ეხლა მზადაა მოიწონოს ეს სიტყვა.

**ბრიუსელი.** მისსიამ მიიღო დღეს დეპეშა აღმოსავლეთ მონგოლიის ვიკარიისაგან. დეპეშა ვლადივოსტოკიდგანაა გაგზავნილი 5 დეკემბერს. ნათქვამია შიგ, რომ ის ოლქი, სადაც ბელგიის მისსიაა, სრულიად დაქცეულია, ხოლო ეპისკოპოსი, 10 ბელგიელი მისსიონერი და ჩინელი მღვდელი და 300 ქრისტიანე გადაარჩინა რუსეთის ჯარმა გენერალ ცერპინსკის უფროსობითაო.

**კონსტანტინეპოლი.** ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში, ელჩისა, საელჩო წევრებისა, სერბიის საბერძნეთის, ჩერნოგორიის წარმომადგენელთა, ბოლგარიის აგენტისა და მართლმადიდებელთა და სომეხთა პატრიარქების დელეგატთა თანადასწრებით, გარდახდილ იქმნა წირვა. წირვის შემდეგ ყველანი რუსეთის საელჩოში შეიკრიბნენ, ამასთან ელჩმა წარმოსთქვა სადღეგრძელოები იმ მეფეთა და მთავართა, რომელთა წარმომადგენელნიც იქ იყვნენ, ხოლო შემდეგ ჩერნოგორიის მთავრის სადღეგრძელო. სულთანისა და პორტის წარმომადგენელნი ამის შემდეგ მივიდნენ საელჩოში მისალოცად.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგენტო" სწერს, ის ამბავი, ვითომ 3000 ბური კაპის ახალშენში შევიდა და ვითომ დევეტს 4500 კაცი ჰყავს, ოფიციალურ წრეებში გაზვიადებულად მიაჩნიათ. არა ჰგონიათ, რომ დევეტს 3000 კაცზედ მეტი ჰყავნდეს. არა სჯერათ აგრეთვე ის ამბავი, ვითომ ინგლისის ჯარმა დევეტის თავი მიანება, მაგრამ ამბობენ-კი, რომ შეიძლება იმ ჯარის ნაწილმა, რომელიც დევეტს სდევნიდა, გადაუხვია სხვა მხრივ იმ 700 ბურის გამოსადევნელად, რომელიც კაპის ახალშენში შევიდნენ.

# ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო „საღმრთო ისტორია" ძველი და ახალი აღთქმისა", შედგენილი გ. იოსელიანის, ხოლო გამოცემული ზაქ. გრიჭუროვის წიგნის მაღაზიის მიერ. ეს წიგნი მესამე შევსებული გამოცემაა 33 სურათით. წიგნი სუფთადაა გამოცემული და ღირს 40 კაპეიკად.


# განცხადებანი

**ზაქარია გრიჭუროვის** წიგნის მაღაზიის ახალი მესამე გამოცემა 33 სურათით

გ. ნ. იოსელიანის

**„საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა"**

დამატებით. შედგენილი სახალხო და სამრევლო სკოლებისათვის.

**ფასი 40 კაპ.**

(3—255—1)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე"**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია:** დიდი ქილა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში. ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—16)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 го Декабря 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**